

## თაზი IV

### საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო

სახელმწიფო ბიუჯეტის 2009 წლის 6 თვის შესრულების მაჩვენებლებიდან გამომდინარე საანგარიშო პერიოდში მთლიანი სალდო განისაზღვრა (-455 348.0) ათასი ლარის ოდენობით.

#### საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა (-581 721.3) ათასი ლარის ოდენობით.
2. ფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 59 994.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (63 882.1 ათასი ლარი) 93.9%-ია.

ფინანსური აქტივების ზრდა	ათას ლარებში		
	3 თვის გეგმა	3 თვის საკასო შესრულება	შესრულება %-ში
<b>სესხები</b>	<b>63,882.1</b>	<b>59,994.0</b>	<b>93.9%</b>

3. ფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 641 7153 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (786 095.1 ათასი ლარი) 81.6%-ია.

ფინანსური აქტივების კლება	ათას ლარებში		
	3 თვის გეგმა	3 თვის საკასო შესრულება	შესრულება %-ში
<b>ვალუტა და დეპოზიტები</b>	<b>786,095.1</b>	<b>641,715.3</b>	<b>81.6%</b>
სესხები	629,353.3	484,972.4	77.1%
აქციები და სხვა კაპიტალი	16,897.5	16,897.9	100.0%
სხვა დებიტორული დავალიანებები	139,844.3	139,844.5	100.0%
		0.5	

\* 484 972.4 ათასი ლარი მოიცავს ხაზინის გარდამავალი საბრუნავი სახსრების ანგარიშებზე არსებული ნაშთის გამოყენებას 475 768.7 ათას ლარს და წინა წლების გამოყენებული სახსრების დაბრუნებიდან მიღებული სახსრების გამოყენებას 9 124.7 ათას ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ წინა წლების გამოყენებული სახსრების დაბრუნება განხორციელდა საანგარიშო პერიოდში, 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა თავისუფალმა საბრუნავმა სახსრებმა შეადგინა 753 615.5 ათასი ლარი. შესაბამისად, აღნიშნული სახსრების გაუთვალისწინებლად 2009 წლის 1 იანვრისათვის არსებული ნაშთის გამოყენებაში გათვალისწინებულია მხოლოდ 475 768.7 ათასი ლარი და აქედან გამომდინარე, 2009 წლის 1 ივლისის მდგომარეობით თავისუფალი საბრუნავი სახსრების ოდენობა განისაზღვრა 277 846.7 ათასი ლარით.

## საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვრა (-126 373.3) ათასი ლარის ოდენობით.

2. ვალდებულებების ზრდამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 96 270.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (104 002.0 ათასი ლარი) 92.6%-ს შეადგენს.

ვალდებულებების ზრდა	ათას ლარებში		
	3 თვის გეგმა	3 თვის საკასო შესრულება	შესრულება %-ში
	104,002.0	96,270.9	92.6%
საგარეო	104,002.0	96,270.9	92.6%

3. ვალდებულებების კლება 222 644.2 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (225 667.2 ათასი ლარი) 98.7%-ს შეადგენს.

ვალდებულებების კლება	ათას ლარებში		
	3 თვის გეგმა	3 თვის საკასო შესრულება	შესრულება %-ში
	225,667.2	222,644.2	98.7%
საგარეო	27,890.7	27,890.4	100.0%
საშინაო	197,776.5	194,753.8	98.5%